

„რუსეთ - აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთას მოქალაქეები ბინადრობის მოწმობით შეძლებენ“

რუსეთის ვიზის ქონის შემთხვევაში აფხაზეთ - რუსეთის ე.წ. საზღვრის გადაკვეთას ე.წ. ბინადრობის მოწმობის მქონე პირები შეძლებენ. ამის შესახებ ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა 2017 წლის მუშაობის შედეგების შეჯამებისას პრესკონფერენციაზე განაცხადა.

დაურ კოვემ აღნიშნა, რომ ამჟამად ტექნიკური საკითხები გვარდება, ხოლო აღნიშნული პროცედურა 2018 წელს ამოქმედდება.

ე.წ. მინისტრმა განმარტა, რომ ვიზის კატეგორია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ყოფნის მიზნების მიხედვით განისაზღვრება.

26.12.2018 <http://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20171226/1022782343/obladatelayam-vida-na-zhitelstvo-s-vizoj-razreshat-vezd-v-abxaziyu.html>

„რაულ ხაჯიმბას ადმინისტრაცია განცხადებას ავრცელებს“

პატიმართა გაცვლასთან დაკავშირებით საზოგადოებაში წამოწყებულ პოლემიკას ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაცია განცხადებით ეხმაურება.

„2017 წლის 25 დეკემბერს აფხაზეთ-საქართველოს საზღვარზე აფხაზური მხარის მიერ საქართველოსთვის გიორგი ლუკავას გადაცემა წარმოადგენს პატიმართა გაცვლის პროცესის გაგრძელებას, რომელიც დაიწყო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლების თხოვნით.

2008 წლის მოვლენების შედეგად, საქართველოს ჯარების ინტერვენციის დროს აყვანილი იყვნენ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები, რომელთაც საქართველოში ხანგრძლივი პატიმრობა, მათ შორის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე რომ ლუკავა გასაცვლელთა სიაში ადრეც იყო, თუმცა მისი გაცვლა იმ დროს დროებით შეჩერდა, მოგვიანებით კიდევ ერთი პატიმარი გიორგი გიუნაშვილი, რომელიც სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკამ გადმოგვცა, გაცვლილი იყო როლანდ ჟიბაზე, რომელიც საქართველოს აფარებდა თავს და ბ. კვიცინიას მკვლელობისთვის იყო ეჭვმიტანილი.

შესაძლოა, ვინმეს არ აწყობდეს ის ფაქტი, რომ აფხაზეთის მოქალაქეები, რომელთაც ჩადენილი აქვთ დანაშაული და თავს საქართველოში აფარებენ , აფხაზეთს უნდა გადაეცეს და ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად სასჯელი მოიხადონ.

მეტიც, ომის დასრულების შემდეგ, ქართულ მხარეს ის მოქალაქეები გადაეცა, რომლებმაც აფხაზეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა სიმძიმის დანაშაული ჩაიდინეს, ისეთები როგორცაა გოგობია, უგრეხელიძე, კეკელია, გერხელია, მამასახლისი და სხვა. იმ პერიოდში ამას არ გამოუწვევია რაიმე აღშფოთება ან გაუგებრობა მათი მხრიდან, ვინც დღეს სიტუაციის გამწვავებას ცდილობს.“- აღნიშნულია განცხადებაში, დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის ტქმით, პატიმართა გაცვლის მსოფლიო პრაქტიკა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა და პრობლემების გადაწყვეტის ინსტრუმენტს წარმოადგენს.

„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოუწოდებთ ქვეყნის მოქალაქეებს გამოიჩინონ სიმშვიდე და არ აყვნენ პროვოკაციულ მოწოდებებს“- აცხადებენ ხაჯიმბას ადმინისტრაციაში.

03.01.2018 <http://www.apsnypress.info/news/zayavlenie-press-sluzhby-prezidenta-abkhazii/>

„გალის რაიონის ადმინისტრაციამ საბიუჯეტო ვალდებულებები შეასრულა“

ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა გალის რაიონის აქტივს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდა დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრი, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა რაიონის მიღწევების შესახებ.

მან აღნიშნა, რომ მიუხედავად სირთულეებისა, 2017 წელი მაინც წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ბესლან ბარციცის თქმით, საბიუჯეტო ვალდებულებები 93%-ით შესრულებულია და დაამატა, რომ მთლიანობაში გალის რაიონის ბიუჯეტი, რესპუბლიკურ დოტაციასთან ერთად 132 000 რუბლია, რომელიც დროულად გადარიცხული იყო გალში და რამაც რაიონის ადმინისტრაციას ხელი შეუწყო ხარვეზების გარეშე შეესრულებინა საბიუჯეტო ვალდებულებები.

ამის გარდა, ე.წ. პრემიერმა ისაუბრა საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე. კერძოდ, ქ. გალის ტერიტორიაზე გამავალ მაგისტრალურ მილსადენზე, სარდაფების რემონტზე, სოფელ ფიჩორის გზის შეკეთებაზე და დაამატა, რომ აღნიშნული პროექტების ჯამურმა ღირებულებამ 160 000 რუბლი შეადგინა.

23.01. 2018 <http://www.apsnypress.info/news/beslan-bartsits-administratsiya-galskogo-rayona-bez-sboev-vypolnila-vse-byudzhetye-obyazatelstva/>

„იტალიაში ე.წ. დიპლომატიური წარმომადგენლობა გაიხსნა“

ქ. რომში, ოკუპირებული აფხაზეთის დიპლომატიური ე.წ. წარმომადგენლობა იტალიასა და ევროკავშირის ქვეყნებში გაიხსნა. ამის შესახებ ინფორმაციას თავის საკუთარ ფეისბუქ გვერდზე დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კან ტანია აცხადებს.

ე.წ. წარმომადგენლობის გვერდზე მითითებულია მისამართი და ტელეფონი. პუბლიკაციას თან ახლავს შენობის ფოტო შესასვლელ კარებზე განთავსებული წარწერით.

23.01.2018 <https://www.facebook.com/kantaniya>

„აფხაზეთში გაცემულია 49 763 აფხაზეთის მოქალაქის ახალი პასპორტი“

ოკუპირებულ აფხაზეთში ძველი პასპორტების ახლით შეცვლის პროცესზე დე-ფაქტო შსს-ს საპასპორტო სამმართველოს უფროსმა ედუარდ მანარგიამ ისაუბრა.

მისი თქმით, 2018 წლის 23 იანვრისთვის, ოკუპირებულ აფხაზეთში, გაცემულია 49 763 ე.წ. ახალი პასპორტი. განხილვის პროცესშია ე.წ. ძველი პასპორტის ახლით შეცვლის მსურველის 2 628 განცხადება, რომელთაგან 2 500 უკვე დამუშავებულია. საერთო ჯამში გათვალისწინებულია 140 000 ე.წ. პასპორტის შეცვლა.

აგრეთვე, ედუარდ მანარგია შეეხო გალის რაიონის ქართველი მოსახლეობისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის თემას. მის ინტერვიუში ვკითხულობთ, „რაც შეეხება ბინადრობის ნებართვის გაფორმებას, ამ დოკუმენტს ჯერჯერობით გავცემთ მხოლოდ გალის რაიონის მოსახლეობისთვის. შემდგომში აღნიშნული დოკუმენტის გაფორმება სხვა რაიონებშიც იქნება შესაძლებელი“

მანარგიას თქმით, დღევანდელი დღისთვის, გალის რაიონში გაცემულია 1 573 ბინადრობის ნებართვა და დაამატა, რომ განხილვის პროცესშია 4 447 განცხადება.

საპასპორტო სამმართველოს უფროსის განმარტებით, გალის რაიონში, შეცვლილია 107 აფხაზეთის მოქალაქის ე.წ. პასპორტი.

ედუარდ მანარგიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ე.წ. პასპორტის შეცვლაზე უარის თქმის შემთხვევებსაც (ის პირები რომლებიც 1994-1999 წლებში არ ცხოვრობდნენ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე) და განაცხადა, რომ ამ საკითხის თაობაზე ესაუბრნენ ე.წ. პრეზიდენტს და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შეტანილ იქნეს ცვლილებები კანონში, რომელიც შეეხება ამ კატეგორიის მოქალაქეებს, რაც მოხსნის მოცემულ პრობლემას.

შეგახსენებთ, რომ ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის ძველი პასპორტების ახლით შეცვლის პროცესი 2016 წლის მაისში დაიწყო.

23.01.2018 <http://abkhazinform.com/item/6962-v-abkhazii-uzhe-vydano-49-763-novykh-pasportov-grazhdanina-respubliki>

„აფხაზეთში ოპოზიცია მოქმედი პრეზიდენტის ვადამდელ გადადგომას ითხოვს“

ოკუპირებულ აფხაზეთში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ახალი კავშირი შეიქმნა.

ე.წ. კავშირში გაერთიანდნენ, პოლიტიკური პარტია „Амцахара“, „Единая Абхазия“, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფონდი „Апра“, საზოგადოებრივი მოძრაობები «Къаразаа», „Абзанхара“, „Наш дом – Абхазия“ და „Союз ветеранов и молодёжи Апсны“

23 იანვარს გამართულ ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე, ფონდ „Апра“-ს ხელმძღვანელმა ასლან ბჟანიამ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, „ჩვენი მიზანია ისეთი ვითარების შექმნა რომლის შედეგადაც მოქმედი პრეზიდენტი ნებაყოფილობით გადადგება“

ამასთან ერთად, ასლან ბჟანიამ განაცხადა, რომ ახალი პოლიტიკური გაერთიანება ე.წ. პრეზიდენტის გადაყენებას მხოლოდ კანონიერი გზით აპირებს.

23.01.2018 <http://abkhazinform.com/item/6961-oppozitsiya-namerena-zakonnyimi-sredstvami-dobivatsya-dosrochnoj-otsavki-prezidenta>

„რაულ ხაჯიმბას შეხვედრა გალის რაიონის აქტივთან“

ოკუპირებული აფხაზეთის რაიონებში ვიზიტის ფარგლებში, 23 იანვარს, რაულ ხაჯიმბა გალის რაიონის აქტივს შეხვდა.

შეხვედრაზე ე.წ. პრეზიდენტს დაუსვეს შეკითხვა პასპორტიზაციის შესახებ. პასუხად რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, „დღევანდელ დღეს გალის რაიონი აფაზეთის რესპუბლიკას პრობლემებს არ უქმნის, მაგრამ კანონი არ ითვალისწინებს აფხაზეთის და საქართველოს ორმაგ მოქალაქეობას და ამიტომ თქვენ თვითონ უნდა ჩამოყალიბდეთ, გჭირდებათ თუ არა აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა. რაც შეეხება ბინადრობის ნებართვას, ეს დოკუმენტი გაძლევეთ არა მარტო აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად გადაადგილების საშუალებას არამედ, მის ფარგლებს გარეთ გასვლის შესაძლებლობასაც“

24.01.2018 <http://abkhazinform.com/item/6965-raul-khadzhimba-gal-ne-sozdaet-segodnya-problem>

„ბესლან ეშბა თანამდებობიდან გადადგა“

ოკუპირებულ აფხაზეთში ბესლან ეშბამ დე-ფაქტო ვიცე-პრემიერის თანამდებობის ნებაყოფლობით დატოვების შესახებ განცხადება დაწერა.

ამის შესახებ ინფორმაცია, დე-ფაქტო მთავრობაში არსებულ წყაროზე დაყრდნობით ვრცელდება.

24.01.3018 <http://pravda-abh.org/news/beslan-eshba-ushel-v-otstavku/>

„რაულ ხაჯიმბამ ოპოზიციის მოწოდებას უპასუხა“

ოკუპირებული აფხაზეთის რაიონებში ვიზიტის ფარგლებში ე.წ. პრეზიდენტი გულრიფშის რაიონის აქტივს შეხვდა.

შეხვედრის დასასრულს რაულ ხაჯიმბა ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ახალი კავშირის მოწოდებას გამოეხმაურა.

ე.წ. პრეზიდენტის თქმით,

„გუშინ ვუსმენდი ოპოზიციის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, სადაც საუბარია ისეთი ვითარების შექმნაზე, როდესაც სახელმწიფოს მეთაური ნებაყოფლობით დატოვებს პოსტს. საინტერესოა, რა სიტუაციის შექმნა სურთ. აფხაზეთის კონსტიტუციის 64 მუხლში ნათლადაა მოცემული თუ რა შემთხვევაში შეიძლება გადაყენებულ იქნას პრეზიდენტი თანამდებობიდან.“

ოპოზიციის მხრიდან მსგავსი ქმედებები როგორც ოპოზიციის, ისევე აფხაზეთის მიმართ ნდობის რესურსის ამოწურვას გამოიწვევს“

რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ ოპოზიციის ასეთი პოზიცია დესტრუქციულია და ქვეყანაში ქაოსს გამოიწვევს.

25.01.2018 <https://www.ekhkavkaza.com/a/28994528.html>

„გრიგორი კარასინის ინტერვიუ გაზეთ „კომერსანტთან“

რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების აღსადგენად გრიგორი კარასინი მთავარ პირობად საქართველოს მხრიდან კვლავ ახალი რეალიების აღიარებას ასახელებს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ აბაშიძესთან პრალაში დაგეგმილ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე გაზეთ "კომერსანტს" ვრცელი ინტერვიუ მისცა.

გრიგორი კარასინი აცხადებს, რომ "რუსეთს საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა სურს, მაგრამ არა აფხაზეთისა და ოსეთის ინტერესების ხარჯზე".

ინტერვიუში კარასინმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესთან დაგეგმილ შეხვედრაზეც ისაუბრა, რომელზეც საქართველო-რუსეთის საზღვარზე ტვირთების გადაზიდვის მონიტორინგის შესახებ 2011 წელს გაფორმებული შეთანხმების რეალიზაცია იქნება. კარასინის განცხადებით, შეთანხმება კონკრეტულად მიუთითებს იმ გეოგრაფიულ კოორდინატებს, სადაც უნდა განთავსდეს საქართველოს საბაჟო სამსახური.

„საქართველომ არ აღიარა მის ყოფილ ტერიტორიაზე შექმნილი ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამიტომ არსებობდა გაუგებრობა, თუ სად გადის მისი საბაჟო საზღვარი. 2011 წლის შეთანხმებას სიცხადე შეაქვს ამ საკითხში. ხელშეკრულებაში მითითებულია კონკრეტული გეოგრაფიული კოორდინატები, სადაც უნდა განთავსდეს საქართველოს საბაჟო სამსახური. ეს არის ყაზბეგის რაიონი, ადგილი მდინარე ენგურის სამხრეთით, ასევე გორის შემოგარენი“, – აცხადებს გრიგორი კარასინი.

25.01.2018 ვრცლად ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <https://www.kommersant.ru/doc/3528425>

„აფხაზეთში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი წარადგინეს“

31 იანვარს ოკუპირებული აფხაზეთის სახალხო კრების (პარლამენტის) რიგითი სესიის სხდომაზე ე.წ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე განიხილავენ ალისა გიცბას კანდიდატურას.

ამის შესახებ განცხადებას აკეთებს დე-ფაქტო პარლამენტის სახელმწიფო-სამართლებრივი პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე ვალერი აგრბა.

ალისა გიცბა დე-ფაქტო გენერალური პროკურორის უფროსი თანაშემწის თანამდებობაზე მუშაობს.

ოკუპირებული აფხაზეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგელობაში შედის 5 მოსამართლე.

ე.წ. კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის პრეტენდენტებს უნდა გააჩნდეთ 15 წლიანი სამუშაო სტაჟი და წლოვანებით 40 წელს ზემოთ ასაკის უნდა იყვნენ.

ე.წ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე 15 წლის ვადით აირჩევა.

25.01.2018 <https://123ru.net/sukhum/132483047/>